

ყველა 17 აპრილი 1916 წ.

ფაზი 12 ქან.

რედაქციის აღმასრულებელი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

# მარკოზ მატერიალი № 16

იუმორისგ.  
უურნალი

იშვიათი ვინმე



— რა ამბავია, კაცო, რისთვის ეხვევეიან ამ უცხო ადამიანს.  
— ამბობენ ეს ვაცი ქრთამს არ იღებსო.

# ქავშირთა ქავშირი.

12 აპრილი. 1916 წ.

უხვი და ვრცელი დარბაზი ქართველი კლუბისა ელექტრონის სხივებში სცურავს, და ის სხივი, სხივი ხელოვნური, იბნევა და ითანტება ქართველი ერის სხივ-ნათელში, რომელსაც ეს დარბაზი აუცილო.

აღდგომის მეორე დღეა. დარბაზში პასკის სუნი სდგას.

საერთო მხიარულება და რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინი იხატება სახეებზე.

ოჲ, ეგ სახეები, ეგ სახეები! როგორ შინდა თათოველი მათგანი აი აქ, ამ ჩემი წიგნაკის ფურცელ ზემოვათაცესო, რომ მომავალმა თაობამ დაპიროს მას და გაითვალისწინოს უდიდესი მამული შვილური გრძელის განცა, რომელიც აი, თუნდაც ამ მსუქანსა და ლორთქოშ სახეზე იხატება.

მოკლე შუბლი, მოკლე ნიკაპი, მოკლე ულვაშები და სქელი, საუღლე კისერი. სახეს ყოველ წუთში სცვლის ერთი მეორეზე უფრო სასაცილო გამომეტყველება. მინდა დაგიჭირო ყველა მათგანი, ან რომელიმე მათგანი, მაგრამ მე უძლური ვარ. ვებტავ გრიგოლ ლალიძეს, და, ვაი საშინელებავ, გამოდის ილა ზურაბიშვილი... პირდაპირ ბრაზი მაგიებს, ვერ ვიგუვ ხატვის საგანი...

აი შეხედეთ თუნდ ამ მოხუცს... ენერგიული კაცის სახე აქვს, თუმცა ამოვარდნილი ლოყის ძვლები მას რაღაც ინტრიგანისა და ბოროტმოქმედის გამომეტყველებას აძლევს.

ვცდილობ ყოველივე ეს ასე გამოვიდეს ჩემს რევულში, მაგრამ ოქვენც არ მომიკვდეთ! ჩემს რევულში გამოხატულ სურათს ორიგინალთან მიღლოდ ნიკაბის წვეროზე ხელოვნურად შემოკაფული ერთი მუქა წვერი ამსგანსებს. მართლაც რომ ჩინებული ნიშანია ეს გრძელი და ვიწრო წვერი ნიკაბის ბოლოზე ამახეთქილა! ნამდვილ საბალანის წვერის ნაშთია და იმ წვერში რომ შემეძლოს, გამოვხატო ჩემი სურვილი! მე მიხარია, რომ ამ წვერის პატრონი ქართველი კუკი და ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს წვერის პატივისცემა, რომ პატრონი ასეთი ეროვნული წვერისა არჩეულ იქმნა წარმომადგენელით. რა იქნებოდა, რომ ქუ-

თათურებს ამ ნიშნობლივიღ ირსებისათვის ყურადღება არ მიექციათ? მაშინ ჩენ თვით ცხოვართა ფარაზედაც დაბლა ვიდგებოდით, ვინაიდან ცხვრებმაც იცინ კარგისა და ავი წვერის გარჩევა. მე კიდევ ვსძლევდი სხვა დაბრკოლებებს და პეტრე ყოფიანის თავს ავათ, თუ კარგათ გამოვხატავდა, მაგრამ... ჩემდა საუბედუროთ მას გუშინ თავი სტკიონდა. ერთ მდგომარეობაში ვერ აჩერებდა თუნდ ერთი წუთითაც.

გრძელ წვერიანი ქართველი აქ სხვაც იყო. უფრო მორიულ და სქელი წვერი ეყარა მას, არა თუ მარტო ნიკაბზე, არამედ ყბებზედაც. მისი სახე უზომით ჭკუისა, დრმა ცოდნისა და სიღინჯის პირდაპირ უტყალი სარკეა. ისიც ქუთაისმა მოვეცა. უაზროთ სიტყვას არ წამოსისრის და თუ წამოსუდა, რათაც დაუჯდეს, აასრულებს. წინა კრებაზე, რომელსაც მე არ დავსწერებივარ, მისი მანდატი საეჭვოთ ეცნოთ და არ მიეღოთ. ამან თურმე მასზე უზომით განციფრების შთაბეჭდილება მოახდინა და ჩვეულებრივის სიმორცხვით განაცხადა:

— ჩიკვირს, ლეგერთმანი, ქუთაისში ჩემზედ უკეთესი ვინ უნდა იირჩიონ, ცხადია ისევ მე ამინისტრები. ახლანდელ არჩევნებზე საქმემ სხვანაირი მიღრეკილება მიღოთ და უალაგოთ დახარჯული სიტყვის გამოსწორება ბ-ნ კრინიცკის თურმე არც თუ ისე იაფათ დაუჯდა. როდესაც იგი კანდიდატია ხმებს ანგარიშობდა, ყველა წაიკითხავდა მის სახეზე უზვეულო მწუხარებას. იგი სახე აშეარათ ამბობდა:

— რისოვის, რისოვის დაგხარჯე ამდენი ფული ნუ თუ იმისოვის რომ აქ ჩხირები მეთვალა და ჩემი კიტას ხსენებაც არ შემძლებოდა?

ის იმდენათ საინტერესო ტიპია, რომ მხოლოდ ქუთაისს შეეძლია იღზარდოს ეგზომ უნაკლო ქართველი. მე მის სურათს სულ ცოტა, ნახევარი საათი დრო მაინც შევალი და ნაყოფი ორიგინალურადაც არა ღირს.

საზოგადო საქმეზე დავივიწყე სჯა და კერძო პიროვნებათა აღწერამ კი მიუფლა. ეს არ წერუება დღევანდელ დიდებულ მომენტს. მთელი საქართველო თითის წვერზე სდგას, ლელავს და შეფოთავს, აქ გამოდიხარ და ვიდაცის სურათებზე ლაპარაკობს...

ქ-ბატონმა ან. ერისთავ-ხოშტარიასამ საოცარის სიტყვა-კაზმულობით დასურათა ქართველი

ერის უკეთესი ნახევრის, სახელდობრ მანდილო-სანთა დღევანდელი სულის კვეთება.

— დღეს ქალაქ გორში უკვე დარაზმულია ორმოცდა ათამდე მანდილოსანი, რომელიც ბობოქრობენ, დელავენ და ლტვინავენ, ნაპირიდან გაღმოდიანო... .

გორში ერთხელ გეახელია და არ შემიძლია ესთქვა დიდათ ნასიმოვნები დაგბრუნდი მეთქი. მაგრამ ქ-ნ ერისთავის სიტყვებზე, მიუხედავათ მშვიდობიანი მისი კილოსი, ტანში ქრუანტელმა დამიარა და წარბები ყალხზე ამიდგა, რადგან თმა გაპარსული მქონდა.

მართლაც, წარმოიდგინეთ 50 მანდილოსანი დარაზმული და მოპობოქრე! ჩემი მტერი ჩაგარდა იმათ ტალღებში... , სანუგეშოთ ის შეგვიძლია მივიწინოთ, რომ ეს ბობოქრობა კულტურული მიზნით არის

წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა კულტურულ განმანათლებელი დაწესებულება ჩვენი ქვეყნისა, გარდა ქართული კლუბისა და კახეთის მევენახთა საზოგადოებისა. სახელდობრ:

დრამატიული საზოგადოება	17.
სახალხო უნივერსიტეტი	9.
სამეცნიერო საზოგადოება	2.
სასადილოები	16.
სადალაქოები	19.
სასტუმროები	11.
სამიკიტნოები	27.

და სხვა და სხვ.

ერთი სიტყვით ყოველივე კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება. კითხვა აღძრა მხოლოდ კაოპერატივთა მიღების შესახებ და მცირე აბობოქრების შემდეგ კამათი მოისპო, ვინაიდან საკითხი გამოუჩიყველი დარჩა.

დაიწყო არჩევნები. ხალხი ამოძრავდა და მეციძულებული გაეხდი მხატვრობისათვის თავი მიმენებებია. მარტო ქ-ნ ნინო ყიფიანისას ეჭირა საფარისი პოზა, მაგრამ სამწუხაროთ ჩემი ნიჭი ჯერ განვითარების იმ წერტილამდე არ ასულა, რომ მანდილოსანის სურათი დასწეროს. რამდენი ვინატრე? — ას ნეტავ პეტრე ყიფიანის წვერი, ან გიორგი ეორდანიას თავის მოყვანილობა მაინც პქონდეს ამ ქალბატონს, რომ შრომა გამიადგილოს მეთქი, მაგრამ ნატვრით რომ საქმე კეთდებოდეს ქართველი კაცი ხომ ბედნიერი იქნება.

დაიწყო არჩევნები. უცქერი ამ ზღვა ხალხს და ალარ ვიცი რომელი მათგანი არ ვარგა გამგეობის წევრათ. რომელი არ ვარგა თავმჯდომარეთ, მდინარეთ, მოლაპარაკობს რათ წევრობს ხოლმე ამ არჩევნებზე. განა სულ ერთი არ არის ვინც უნდა იყოს? აი თუნდ ეს სამკუთხ თავიანი კაცი, ბეჭედში ცოტა მოხრილი, წვრილ, კავილა ხმიანი... ამდენს რო ლაპარაკობს ყუთზე ჩამოწყოლილი... განა ამას აქობებს ვიმე?.. რავენათ მერმე რომ მას მარტო სამი ხმა ამოუკიდა? ოპერის არტისტათ, ან ქართული სცენის სუფლიარიათ ხომ არ ირჩევენ რომ ხმებს ქონდეს ზთავარი მნიშვნელობა? და აი, თითონაც არ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას. დაიდგა ყუთი და... ულმერთოები!!! ქე არ გააშავეს!!!

— მაგისი უბედურება ის არის რომ გიორგი ჰერია და არა ნოეო... მწუხარეთ წარმოსთქვა ვიღლაც პატივისმცემელმა, რადგან გვარი სამკუთხ-თავიანისა ეორდანია ყოფილი. მეც გული დამწყვიტა ამ გარემოებამ. აი რა შეცდომა შეიძლება ღაუშვას მღვდელ-მოქმედმა, საიდუმლო ნათლის დების დროს. რა დაშავდებოდა იმით, რომ გიორგის ნაცვლად ბავშისთვის ნოე დაერქმიათ? ვინ იცის იქნება ასეთ უნუგეშო მღვმარეობაში არ ჩაგარდნილიყო ეს ახალგაზდა.

არჩევნები გათავდა. ხალხი დაწყნარდა. მხოლოდ ქალები დარჩენ უმაღურნი და აბობოქრებულნი, ვინაიდან გამგეობაში არ იქნენ არჩეულნი.

ეშმაკი.



## გემუდარები.

ეშმაკთ მთავარო გემუდარები,  
წითელი მელნით განამწარები,  
ვერრა გააშე ლიტანითა,  
მუხლებ ნატკენმა მეტანითა.

რა მოვისმინე ღამისა წირვა,  
მღვდელ დიაკონმა გლას გამაყირვა,  
შენსკენ მოვრბოდი მოსალოცათა,  
წუხელ, ამბებით გასაოცათა.

მაგრამ აქ შემხვდა ვიღაც ქართველი,  
ჯიბეს გაიკრა საჩქაროთ ხელი,  
მარჯვნით იშვილიპა საწერ-კალამი,  
არც კი მაცალა შეძლვნა სალაში.

მარცხნით რაღაცა შუშით წითელი,  
ნაწერ ქაღალდზედ დასაჩითელი,  
მითხრა: სად მირბი შე სიტანაო,  
ამბავი მიგაქვს ეშმაკთანაო!

მითხრა და კალმით იგი წითელი,  
ენაზე წამცხო, მოსპო სათქმელი,  
ვერ მოგილოცე ქრისტეს აღდგენა,  
წითელი კალმით დამიჭრეს ენა.

დიდო ეშმაკო, გემუდარები,  
შენის მათრახით მომექმარები,  
თუ საღმე ნახო იგი ქართველი,  
მათრახის კულით გაუთბე წელი.

ან. განჯის-კარელი.

## პატარა ფელიქონი.

„გაჭირება მიჩვენე,  
გაქცევას გიჩვენებ“

ხალხ. ანდაზა.

სოფ. ბოხი. 7 აპრილს სასოფლო ყრილობამ  
დაადგინა: მოისპოს „პასეპის“ ცხობა, როგორც  
ჩვეულ ება, წინა კრებაზე მოისპო ტირილი  
ქორწილი და საკურთხები“.

გაზ. „ხოხობი“ № 24.

წინეთ ამბობდენ: — ქართველი ხალხი, რო-  
გორც კულტურის კიბის ქვემორე საფეხურზე მდგო-  
მარე, აღვილათ ვერ ეგუება ცხოვრების ცვალება-  
დობას და მისგან ძლეული გამოდის.

ეს მტკნარი სიცრუე გამოდგა. ღლევანდელი  
მომენტი ისეთი ეგზამენია, რომელშიაც ბევრი ხალ-  
ხი ჩიტრა და თუ ქართველი კაცი მას გადაუტჩა-  
ეს კულტურული კიბის სულ სხვა საფეხურის მა-  
ჩქენებელია.

მაგალითისთვის ავიღოთ სოფ. ბოხი. ეს პა-  
ტარა, მაგრამ მშვენიერი დაბა მდებარეობს სოფ. მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთით რეა ვერსის მანძილზე,  
ძლინარე ბაძაკურას პირად, კორკორანა მთის სამ-  
რეთ ფერდობზე. ვერ წარმომიდგენია ქართველი  
კაცი, რომელსაც ქ. ხოხიდან ბირლუში უმგზა-  
რებია, ეს დაბა არ ენახოს.

ომის დაწყებისთანავე აუტანელი სიძირე გა-  
მეფდა სოფ. ბოხის არე- მარეში და ყოველივე  
კულტურულ დაწესებულებას, (ვარდა ერთი ხილისა)  
მოკლებული სოფელი უნდგეშო მდგომარეობაში ჩა-  
ვარდა. სწორეთ ამ დროს გარდაიცვალა (ვერაგუ-  
ლი სიკვდილისაგან) დამსახურებული პრიეტნიკი  
ათანასე ხაფენგაძე. ხალხი აღელდა და გაღისწყვიტა  
ყრილობას მოწვევა. მართლაც 22 ივნისს 1914  
წელს შესდგა ყრილობა, რომელმაც დაადგინა:  
საუკუნოდ მოისპოს აღაპით ტირილი, რაოც უზო-  
მო და უსარებელო ხარჯს იწვევს და უნუგეშო  
მდგომარეობაში აგდებს ისედაც დაობლებულ ოჯახს  
მას შემდეგ სოფ. ბოხში თითქმის არავინ მომკდა-  
რა.

სიძირე დღითი დღე მატულობს. მოსავალი  
მცირდება. სწორეთ ამ დროს დაინიშნა თენიზზე  
წვერაძის ქალი, ლაფო, აზნაურ კიკიბო რიკაძეზე.  
ძველებური ქორწილი უკვე გამზადებული იყო,  
მაგრამ ხალხის გონიერებამ დაასწრო.

27 ოქტომბერს 1914 წლისას შესდგა სოფ-  
ლის ყრილობა, რომელმაც დაადგინა: „მოისპოს  
ქორწილი მილოცვითა და უზომო ხარჯების გაწე-  
ვით, როგორც მავნე ჩვეულება.“

ხალხის გასაჭიროს ვერც ამან უშველა. გირვან-  
ქა შაქარი 40 კაპ. გახდა, ნაეთი ორი შაური, მა-  
რილიც ერთი ორათ გაძვირდა. სწორეთ ამ დროს  
შეეძინა ადგილობრივ მღვდელს სერაპიონ დათვა-  
ძეს მეცამეტე ქალი და უზომოთ მხიარული ოჯახი  
დიდებული ნათლობისათვის გაემზადა. მოწვევის ბა-  
რათები უკვე მზათ იყო, რომ მამასახლისმა ანდრო  
ქურდაძემ, მოიწვია ყრილობა, რომელიც შესდგა  
1915 წლის 9 იანვარს.

ყრილობამ იქნია მსჯელობა ნათლისდების შესახებ და დაადგინა: „მოისპოს უზომო ხარჯი იღნიშნულ მღვდელ—მოქმედების დროს, როგორც მავნე და დღევანდელი მომენტისთვის შეუფერებელი.“ ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ დადგენილებას და შეპფიცა მისი სასწიკათ დაცვა.

გასაჭირი კი საათობით იზრდებოდა. არშინი ჩითი, რომელსაც წინეთ შეიდ კაპიკათ თუ არა, ორს სამ ჟარუათ უთუოდ იშოვიდი, დღეს სამ აბაზათ ფასობს: სიმინდი ფური ორ მანეთად იყიდება, თუ გასაყიდი კი იშოვა დამშეულმა ოჯახმა. ზაფხული მაინც აუტანელი შეიძნა. წარმოიდგინეთ ტყებალიც კი გაძიირდა, არა თუ სხვა ხილი, თავი ტარანა აბაზათ ფასობდა და ისიც ისეთი ტარანა, რომელითაც სხვა დროს კატას აქცავლებდნ. პეტრე-პავლობა კარს იყო მომდგარი და სოფელი ბოხის ეკლესია დღესასწაულისთვის ემზადებოდა.

26 იერის მოულოდნელით მოწვეულ იქნა სოფლის ყრილობა, რომელმაც ერთხმათ დაადგინა: „მოისპოს პეტრე-პავლობის დღესასწაული, როგორც მავნე ჩვეულება და იუწყოს სტუმრათ გაზადებულებს, რომ ტყვილით ნუ შეიწუხებენ თავს, ვინაიდან ამ დღეს არც ერთ ბოხელის ოჯახში სადილი არ გაკეთდება.

1816 წელი გაცილებით უფრო მწვავე გამოდგა, ვიდრე ორი წინანდელი. ოჯახში მუშახელი აღარ დარჩა, სიძირიები იმატა, ფულის ფასი დაეცა. „ყველაფერი გაძიირდა, მხოლოდ ადამიანის სიკოცხლე ფასობს გროვათო“ სწერდენ ურჩალ გაზეთები.

სოფ. ბოხის მცხოვრებნი ენერგიულათ ებრძოდენ ცხოვრების უკულმართობას:

მოსპეს: ახალი წლის, ყველის დღესასწაულები.

უმთავრესი დაბრკოლება ეს აღდგომა იყო და მასთან შეკავშირებული „პასკა“. და ი, 7 აპრილს 1916 წლისას შესდგა ყრილობა, რომელმაც დაადგინა: „მოისპოს მთელი მოწყობის ლობა, პასკით, წითელი კვერცხით, გოჭით, ინდოურით და ქათმით, როგორც მავნე და დღევანდელი მომენტისათვის შეუფერებელი“. იმდინა სასზოგადოება მტკიცედ დაიცას თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ როგორც ვხედავთ საქმეს ვერც ეგ შეველის.

გაჭივრება ისე იზრდება და ვითარდება, როგორც დღევანდელი ომი. არ უჩინს მას არც ახლო და არც შორეული ბოლო. ამიტომ ს. ბოხის მამასახლისმა კვლავ მაასტინა ყრილობა 13 აპრილს და კრებამ დაადგინა:

„თუ ცხოვრებამ ამ გზით იარა, როგორც დღეს მიმდინარეობს საჭირო იქნება ზოგიერთა მავნე ზეტევეულებათა უარყოფა. ეს ზე ჩვეულებანი განიყოფებიან კატეგორიებათ. პირველათ მოისპობა:

1 ვახშამი, როგორც ზედმეტი ხარჯი.

2 თეთრეულების ხმარება, რომელსაც ბეჭრი საპონი სჭირია.

3 ავათმყოფობა და თუ უიმისობა არ იქნა, წამლის ხმარება უსათუოდ.

4 ავათმყოფთან სანახავათ მისვლა.

5 ყოველგვარი სტუმრობა.

თუ ამანაც საქმეს არ უშველა მაშინ განზრა-ხულია მოისპოს:

1 სადილი.

2 საუზე და ზარმელი (სამხარი)

3 ტანისამოსი საზოგადოთ

4 სიარული, რათა ფეხსაცმელი არ დარჩეს საჭირო.

5 ქორწინება საზოგადოთ.

6 ყველა უქმე და საქმის დღეები.

და თუ ამ ზომამაც არ გასჭრა, მაშინ ს. ბოხში განზრახულია კობცერატიული დუქნის დაარსება.

მორიცელი.



## ფუტურისტული

შანწით ცისფრით ვადლეგრძელებ,  
ახლად გამოჩეკილ გმირებს.  
ახალს ვუძღვნი ამოსახსნელს  
გამოფუტურებულ პირებს,  
ზეკაცები მოგვევლინა  
ვინ გაბედავს მათხე ძვირებს.  
ირწმუნება კრიტიკოსიც,  
რომ ვერა სჯობს რაში ვირებს...  
რა ჰქნან რომე ბეთხოვენი,  
მათვის მხოლოდ ყრუი არი,  
არავინ სჩანს მათი სწორი,  
შექსპირსაც კი უთხრეს უარი.  
ლანდათ უჩანთ რუსთაველი,  
დანტეს მიუხურეს კარი,  
ნიჭი მაგათ დაელოცათ,  
მალე ნახავთ თუ ვინ არი.

აიშოკ.



## ქეთო და მარიამი.

რად მემართება ნეტავ ეს?

ყველაფერ საქმეში გულადი ვარ, გამბედავი და  
მამაცი, მაგრამ კოპტია არსებასთან რომ მომიხდება  
საუბარი ჩემი გული, ფიქის სანთელივითა დნება.

აი, ახლაც ასე მემართება: ახალგაზრდათა სა-  
ზოგადოებაში ვარ და ბანქისა ვთამიშობ. ჩემს პირ-  
დაპირ ერთი გოგონა ზის, ქრა თმიანი, ტუჩბ  
პატარა, კრელ თვალება და წარმტაცათ მომლი-  
მარე, ასეთივე გოგონა ზის გვერდით, მხოლოდ  
მას შავი, შავი, ნაპერწკლების მფრქვეველი თვა-  
ლები აქვს. ახალგაზრდა გოგონები სხვაც ბევრნი  
არიან, მაგრამ ეს ორი ყველაზე უკვეთესია.

მოდი და გული მაგრად შეინახე!

ახლა გკითხავთ: რა სასწაულით შემიძლიან  
ბანქოში მოგება? რასაკვირველია, არა ბუნებრივი  
ძალით, თორებ ჩემი ბუნებრივი ძალები ბანქის  
თამაშს ვერას გზით ვერ წაიყვანს ჩემს სასარგებ-  
ლოდ.

— ბანქოში აგებთ, მაშასადამე სიყვარულში  
მოგებული იქნებით.—შავ თვალა გოგონა ამას  
შეუბნება და თან თვისი კოპტია ტუჩბით იღიმება.  
ოს, მარიამ!..

— შენს ღიმილს ვენაცალე—ამას ვფიქრობ.  
მაგიდას შეორე შერიდან მიღიმის მომხიბლავი ქეთო!  
რომლით დავსტებე? რომელს ვუყურო?

— ბიჭო, როგორ დოყლაპისავით დააღ პი-  
რი და გავშეშდი! დაარიგე, რაღა, ბანქო—რა ცუ-  
დი ენა აქვს ჩემს მეგობარ მიხეილსა! განა მოსაწო-  
ნი ვიქნებოდი ქეთოსა და მარიამის თვალში მისი  
სიტყვები რომ ხმა მაღლა ყოფილიყო წარმოთქმული

ოს! ვიღაცამ ძალზე დამატირა მაგიდის ქვეშ  
ფეხზე ფეხი... ჰა, დავიტირ ცუდლუტი! ფეხი ქა-  
ლისა. ქეთოსი თუ მარიამის?

— ქეთოსია!

ფეხები საუბარში გაერთენ, თვით ქეთო კი  
ისე იქცევა, ვითომდა ფეხი მას არც წამოულია  
სახლიდან. რა ეშმაკი ხარ, რა ეშმაკი პატარა ქეთო  
ეს ვიღას ფეხია, რომ შემოგვიროდა?  
მარიამისაა!

ჩემმა ფეხებმა ძლირ იციან რა ჰქნან, რადგან  
ჩემმა არ არიან ორ უმანკო არსებისათან  
საუბარს.

რომელი სჯობია სილამაზით?

ქეთო თუ მარიამი?

ქეთო...

არა მარიამი...

ქეთო, ქეთო...

მარიამი...

არ ვიცი...

ქეთო, მარიამი კეკუა-გონება დამებნა, არ ვიცი  
რომელი უფრო კარგი ხართ!

— მიხეილ, რას ჩამაცივდი, კაცო, რა ბან-  
ქოს თამაშის დარდი მაქვს.

ქეთო და მარიამი იცინიან, ხარხარობენ.  
ზეციერო, რა კარგია მათი სიცილი თითქა  
მარგალიტებს ისერიან ბაგეთაგანო... .

გუგული.

## საპვირაცხოვლო ქლვენი საჩერლებეს.

„ლიამს“ „კორდის“ ტყუილებსა  
„ბეკიჩამაც“ დაუმატა  
და მათდამი თანაგრძნობა  
მან იმითი გამოხატა.  
  
რომ „სახალხო უურცელს“ ტყვილი  
ხელოვნურად შეაპარა  
და მით კორდის ნათლულები  
გააცინა, გაახარა.  
  
ამ ხერხით და თვალთმაქცობით  
ჩაერია იმათ ბრძოში,  
რომელთ საქმე საგმირონი  
უნდა დავგმოთ ჩვენ ამ ღროში.  
  
იმათი წრე აირჩია,  
მთავარსარდლობს რომელს სისო,  
და უქებზეც არ ჰქიდიათ,  
ჰირ-ვარამი სადღეისო.  
  
„ბეკიჩა“ რომ ამათ დასში,  
სამუდამოთ ჩაეწერა,  
აღტაცებით მიეგმიენ,  
„ორპირული“ სოქვეს სიმღერა.  
  
რა „ბეკიჩას“ თავ-განჭირვა,  
მოახსენეს მთავარსარდალს,  
დიდათ უქო ვაუკაცობა,  
და შეპირდა ხახვის მენდალს.  
  
ბრძანა: „ვნახავ გამარჯვებას  
შემით ჩემი დასისაო,  
აი მაშინ გიწყალობებ,  
ყელის მენდალს ზრასისასო“,  
მთავარსარდლის ბრძანება, რომ  
„ბეკიჩელიამ“ მოისმინა,  
გრძნობამ გული აუზუყა,  
ბეკიჩ ველარ მოითმინა,  
ორი ცრემლის მარგალიტი,  
თვალებიდან გადმოლვარა,  
სამუდამი ერთგულების,  
ნიშანთ თავი მოიხარა.  
  
მიულოცეს ბელადობაც,  
ჩაბარეს შავი ღროშა,  
თუმც „ბეკიჩას“ მცერ-მოყვრობა,  
არ ღირს არცა ერთი გროშა,  
რადგან, ვატყობ, ეს ბატონი  
ყველგან ფლიდობს, ყველგან სტყუა,

სჩანს ამ ფარგალს ვერ გასცდება  
მისი აზრი, მისი ჰკუუ.

და, რავი მან სიმართლისას  
გზა სიცრ-უის ამჯობინა,  
მათ ბანაკში მოაბოვა,  
შესაფერი მყუდრო ბინა,  
დღეს მათ შორის დამშვიდებით  
განისვენებს მზგავსთა თანა,  
ღმერთი! ყველას ღვაშორე,  
ცრუ და ფლიდი ამისთანა!  
ამ ნაცარ მქექთ ბრძოთა წრეში  
პოლიგარბე ტურა-მელობს,  
ცხადათ ხედავს მათ სიყალბეს,  
მაგრამ სიტყვით სხვაფრიც მსჯელობს.  
და მიტომაც ხშირათ იგიც,  
აღიარებს თეთრსა შავათ,  
ან კი რა ქნას, სხვა გზა არ აქვს  
მას ეთიეთს დასაცავათ.

რაღან სიტყვა ვერ მოვძებნე  
მისი ტიპის შესაფერი,  
იმ ერთ წევრზე ვერას ვაშბობ,  
თუმც იმაზე მიღვა ჯერი.  
თანაც ვშიშობ მის შესახებ,  
არ წამომცდეს სიტყვა ცუდათ,  
ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ წრეში,  
იმას სთვლიან „სისოს კუდათ“  
ზედმეტ სახელს უწოდებენ  
თავებდა და მეტიჩარას,  
ესეც ქმარა, გავნუმდები,  
აღარ ვიტყვი სხვას იღარას.  
თუმცა მსურს, რომ მე ამ ჯგუფის  
სრული სია შევადგინო,  
მათზე მჯავრის დასადებათ,  
ბატონს ეშმაკს წარუდგინო,  
მაგრამ რა ვქნა, ამ სიაში  
ვერ აღვნიშნავ ყველას სახელს,  
და სჯობს ლექსი დაესრულო,  
აწ კალამსაც გაუშვებ ხელს.

შუშუა.



„ეშვიერი მათრახის“ რედაქტია შწუხარებით  
აღნიშვნავს, რომ ამ ნომრისთვის დანიშნული სუ-  
რათები უქმე დღეების გამო ვერ მოესწრო.

## გურული სცენა.

(სახალეჭვით)

დადგა ვნების კვირე თუ არა, შემიჩთა ჩემი  
ქნეინა, ვოლინკე: ამ სააღდგომოთ ნეპრემენათ უნ-  
და ვეზიაროთო. ქალო, დამანგბე თავი მეთქი, სა-  
ზიარებლად აგრე კვირკობისთვეში რომ გამოგვე-  
ვა ხევსი მაშვინ მევიქცევით და ზიარებაც მაშვინ  
გვინდა, თვარა ახლა კიდომ ქე გვაქ რაცხა პიწა,  
სასიმინდეშითქვა. ვინ დაგიჯერა. არ მომცა საშვე-  
ლი, ძალათაი წამათრევდა ვიცოდი. ჩითრევის ჩე-  
ყოლა ჯობიაო, გამიგონია, ავდექი და წევედი.  
სამშაბათს ხუცესშა გამოგვიცხადა: შვილებო, აგი  
უბედურება ხომ გვადგანა თავზე, აგი ჩენი უაწმუ-  
ნობის ბრალიაო, დიდი ცოდვები გვაწევს კისერზე  
და მონანიება უნდა, თვარა დევილუბეთ კაციო.  
(გულში ვიფიქრე, შენდონი ცოდგა ერთად თელ  
შენ მრევლს არ ქნება, შენ წვერ გასაპარცავო  
მეთქი), ვილოცოთ გულმხურევალეთო, სუფთად  
იყავით ამ კვირეში, ტანისამოსი სუფთა ჩაიცით,  
ძველი იყოს, ოლონდ გარეცხილი და სუფთაო,  
ახალი ტანისამოსი და პოწოლიყი არ არის ამ კვი-  
რეში საჭიროვო. გიცხონდა მამა, ვამბობ გუნებაში  
მაგი არის ჩემი საქმე, ნეტაი ახალი ტანისამოსი  
სულ არ იქნებოდეს საჭირო, მაშინ თავამათ გევი  
არ ამ ჩემი დაკინკული კასტუმით მეთქინ. შინ  
რომ მიებრუნდით, ვოლინკამ მითხრა: ტანზე გეი-  
ძრე ყოლიფერი, უნდა დაგირეცხო, ხომ გეიგონე  
რა თქვა ხუცესმათ. რო გევიძრო შიშველი ხომ  
ვერ ვაირ მეთქინ, გამოსაცვალი არაფერი მაქ და  
ტანზე თუ შამომარეცხ არ ვჩივი, მარა ცხელი წყა-  
ლით არ მომდგინო, ცივი წყალით გარეცხე თქვა.

— შენ საწყალო, მაგის მეტი მოფიქრება რეიზა  
არ მოგცა ღმერთშა, გეიძრე ტანზე და შეწევი  
შიშვლათ ლოგინში და იყავი ხვალემდი, იძინე რა  
გენალვლებაო.

— რავა რა მენალვლება ქალო, ათასი სამუშიერი  
ამჟ. სამუშიერს კაი, თუ გინდა გადაედობ, მარა

რომ ვინმე მევიდეს, არ გადირევა, რამ დაწვის  
აი კაცი ამ შვალლეზე ლოგინშით.

— რო გიკითხავენ, მე ვეტყვი პაწე ავათ გახო  
რაცხა მეთქინ. შენთან რომ მოვიდეს, აკრუხუნე  
ვითომ მართლა ავათ ხარ გათავდა და მორჩა,  
მაჯობა ქალმა მოფიქრებით. გასაქანი არ იყ  
გევიძრე ყველაფერი ტანზე და შეწევი ლოგინშ  
გულსუა ხელი და უცებ გარეცხა ჩემმა ვოლანე  
სარეცხა—და გაკიდა ლობრის სარებზე... არა, ბე  
ასე მალე რაფერ გარეცხე მეთქი. მე შენ საწყალ  
არ მაფასებ, თვარა გოროცერი პრაჩასაც კი ვჯო  
ვარო. იმ ლამეს გაშრა ლამაზათ ტანისამოსი, დ  
ლას ჩევიცვი და ლოცვაზე წევედი... წითელ პ  
რასკევს აღსარება ჩამოგვართვა ხუცეცმა. შემიყვა  
საკურთხეველში, დამაჩინა უჩენიკივით, მითხრ  
შვილო, აქანაი რასაც გეტყვი, ყოლიფერი სანაშა  
სია, არსათ არ თქვაო. მართლა მეც ქე ვიცი აფ  
არსად არ უნდა ვთქა, მარა, ამას აგრე ვამბო  
ჩემდა, კი არავის ვეუბნები. გამომეტობა ბეგრი კ  
დევები, ბოლოს მითხრა, სხვისი წანალლეტ-წანაგლ  
ჯით თუ გიცხოვრიაოთ, ღმერთშა დამიტაროს მაშა  
მაგისანე საქმიდან მე მეთქინ... მაგაზე ნუ მიდგე  
საქმე მამაო, თვარა წანალლეტით შენსავით..... გ  
ჩემდი შენ ცოდვილო, ცოდვას ცოდვაზე უმატე  
თუ ინანიებო, გამაწყვეტია ხმაი... არა, კუში ნ  
კი მოგივა, აი, აგრე არაკაცი რომ არ გვიყურე  
მამაო, იმიზა გითხარი, თვარა ხალეში რადა გეტყვ  
მეთქინ... არა, აღსარებას შენ მართუმ თუ მე უნდ  
ჩამოგვართვაო... კაი, გაფჩუმდი. დიდშაფათს ვეზია-  
რეთ მე და ჩემი ვოლინკა... მომილოცა: ბეჭა,  
ღმერთშა წაგაყენს ზიარება, მრავალ წელიწად  
ეზიარე კიდომო. შენც ჩემო ვოლინკა მეთქინ,  
ღმერთმა ბევრჯერ გაგხადოს საზიარებლათ მეთქინ..  
აგი, რა თქვიო, შამომიკლაპუნა, მწყევლი თუ  
მლოცვავო. უკაცრავათ სიტყვაში შემცდა მეთქინ.  
აბა ახლა პაწი შევემზადოთ ხეალიზა, დაქცეული  
დროი კია, მარა, აღდგომა არის, რაც უნდა იყოს  
მეთქი... კვერცხი შევლებეთ ისე, ჩოულობიზა სამი  
კაკალი... ვაი, დედაო, რა დროი დაგველუბა! რა-  
ფერ მიხარიდა აღდგომის მოსვლა! ახლა გული  
მაქ მოკეცილი. გვერდა ერთი მტებლობა და  
ცეკვა-თამაში, ბურთი და რა ვიცი... კვერცხები  
საშ კეკალს კი არა, ასი არ მეყოფლიდა... მე ვდე-  
ბავდი ჩემი ხელით, ქე მქონდა ხელის ფრჩხილები  
პერსიანსავით წაწითლებული. ერთი პასკაც ვიყიდ

გოძიც მყავდა, იგი დავკალი, ერთი სიტყვით მე-  
ვემზადეთ, რაც გეწყვიბოდა ჩემს სიდარიბეს. ხვალე  
საყდარზე ვერ წამუალ მეთქინ ვუთხარი ვოლინკას.  
რეიზა ბეჩაო, მკითხა... ტანზე აფერი მაცვია, ხომ  
ხედავ, ხვალ ხომ არის მწუხარების დღეი ძევლი  
დალლეტილი და ნახევრით შიშეელი რომ გამოჩდე  
ხალხში მეთქინ... აბა, ღომი დამიმზადე და მე წა-  
ვალ მარტო საყდარზეო. ღომი კი არა, მე ხვალე  
„ავათ ვხდები“ მეთქი. რაფერ ავათ ხთებიო, გეი-  
კირა. რაფერ, და შენ რომ მასწავლე, ტანზე აფერი  
მაცვია, მევიმიზეზეპ ავათმყოფობას და შევწობი  
ლოგონში, თუ ვინმეტ მიკითხოს ხვალე სახტარზე,  
ავათ არის თქვა, უთხარი. სიცრუე უნდა მათქმიო  
ამ ნაზიარებ ქალს აღდგომას შენ უბედუროვო.  
აბა რა ვენა შეთქი...

გათხოდა ბრწყინვალე აღდგომა, პეტრი-  
ელამ, ჩემმა მეზობელმა გადმომიძახა, არ მოსვალ  
სახტარზეო? ქალმა დაუძახა, ავათ არის რაცხამ  
შეაბუე ტანშიო... წირვილან რო დაბრუჯდა ვა-  
ლინკე, პაწაი გამჯვარებული კი იყო, ღომი რომ  
ვერ დავახვედრე დაშუშებული, მარა ამბავი ქე მი-  
თხრა მაინც. მისიანა აღდგომა არ მომწრია ჩემს  
დღეშიო. უწინ რომ იყო სახტარი გატენილია, ახლა  
ორმოცი ქალი და კაცი არ ყოფილა თლათ შით,  
და ვინც იყო, იგიც დედაბერი და ბერიკაცებიო.  
აღარც მილოცვა, აღარც ხალისიანი წირვა. ყველის  
სახე უტიროდა, და დღედღიც მოწყვენილი იყოვო.

იგი, ბეჩა იმიზა იქნებოდა მოწყვენილი, რომ სა-  
კურთხები, პასკები რომ იცოდენ უწინ, ზღობნები, იგი  
არ იქნებოდა მეთქინ. პასკა სულ არავის მუუტანია  
საკურთხადო. რას იზამ ბეჩა, ვოლინკა მეთქინ,  
ვაინის ბრალია ყოლოფრი, ვიღას სცალია აღდგო-  
მიზა, ყველიყა ჩხებუშია და დედაბერების და ბერი-  
კაცების აღდგომა კაი შეილია... შიმშილით არ  
ამოხთებოდენ სული თვარა, ვაინს ვინ ჩივა მეთქინ.  
გააკეთა სადილი და მომიტანა, ძან მაღიანათ გია-  
ხელი. გაეცინა ჩემ ვოლინკას და თქვე: სასიკვრი-  
ლო აფერი უჭირს ჩემს უნდომს, აპეტიტის მაღა  
ქე აქ კაო. დღეს აღარაფერი თამშობა არ არის,  
არც ბურთი, არც ბუზიკა და არაფერი. ერთი ათა-  
მდი მნახველი ქე მომივიდა, შეეტყვენ ჩემი ავათ-  
მყოფობა.—დღეს, გლახუნა ვიზიტით უნდა მოგეუ-  
ლიყავით, და ახლა ავათმყოფის სანახავათ მოვედი-  
თო. რას იზამ, ღრმომა მეიტანა ყოლიფერი მეთქინ.  
გუნებაში კი მეცინება. დეიქცეს წროუნდელი აღ-  
დგომა. დღეს და ხვალ კიდომ ვიქნები ლოგინში,  
სამშიბათს ვუდურთებ ყანაში.

ლუკაიეს ობოლი.

## ს. გუბი.

(ჰელაგოგიური მოდგაწეობა)

იქნებ გვონია ქალბი,  
მარტო ცეტობენ კულაშში?  
მოდი ისმინე თუ დრო გაქვი,  
რა ხდება ჩვენსა უბანში!

### I.

ნუბა—შენ ჰე, მედოლევ, დაპკარი დოლი,  
თავისკენ გვიწვევს ხავედის მოლი...  
(ასე უყვარდა ცხონებულ ძველებს  
აგრე აფენდენ ზეცაში ხელებს.)  
კავალრებს ჩემსას, მოსწონთ ეს ასე,  
მეც მისოვის გიხმე და დაგაფასე,  
შენცა მეარლნევ, შენი არლანი  
გადამტრუნე და ტკბილი ხმანი,  
გაერანგებულ არეს მოპფინეთ  
სული დამიტკეთ და მომალხინეთ,  
მეონი მაკლია ერთი მაცარი!?

ნეტავი გიურ, ილო სად არი!?

კავალერი—ილომ და საშამ დასასვენები  
იძოვეს გზაში ნაძვის ხეები.—

ნუბა—მართლა? შეხედეთ ამ უბანდრუკებს...

„სითბო აგიებს აღმათ ჭაბუკებს..“

კავალერი—მეც ძლიერ მომწონს ნაძვის ძირები,  
სადაც ბაბინებს მოლი ხშირები,  
მაგრამ სად არის მწგავსი უბანი,  
აქ ხომ არ არის აბასთუმანი,  
ის ექვსი ძირი ნაძვის ხეები,  
უკვე არს მათი დანაბეები.

ნუბა—ნაძვი რათ გინდა. როცა ჭადარი  
ეზოში გვიდგას, სამოთხის დარი.  
აბა მელოლევ, აბა პირი ჰქენ  
ჩემი ძვირფასი სკოლის ბაღისემნ...  
(შევიდენ კადეც აურ ზაურით,  
აიღეს სკოლის ეზო ხმაურით,  
იხმობს „კოლეგებს“ საქვიფოთა,  
მაგრამ არავინ, თუმცა იშტოთა,  
არ ეკარება, და ჩვენი ნუბა,  
თუმც არსაც მგონი კი წაეჩუბა,  
დარჩა მარტოკა ყმაწვილთა შორის...  
ისმის ხმა მხოლოდ არლანის, დოლის.)  
ამ დროს, მოწაფეთ მთელი გუნდები

გარს ახვევია, ამ ჩემნს პედაგოგს.  
მათ მშობლებს თავზე, ქვა და გუნდები  
აცვიფა, მაგრამ განა მოვა გონს?!)

## II.

ორშაბათია: წერილს ღებულობს,  
არ ვიცი ვისგან, მხოლოდ საჩქაროს;  
ხუთშაბათ დილით წასვლას ნებულობს  
სთქვეს: — აცილებსო თავისსა „საქმაროს.“  
კლასს ისე სტრუქტურულობს უპატრიონთა,  
რამაც ბავშებიც კი ააშფოთა.  
ხუთშაბათს მოჰყევა პარასკევიცა,  
შაბაოი, კვირა, კიდევ ზევითა,  
მხოლოდ სამშაბათს დილით მობრძანდა,  
იმდენი ხათრი და პატივი გვცა...  
აგრე მიღიან, დღენი, კვირები...  
ფეხზე ჰქიდია გავეთილები,  
თუ კი უნახა ვინწეს კაპარდა,  
სდევს გასაცნობათ, (გზიდან ხაბარდა!)  
იმის ძებნაში ერთ კვირას დაჰყოფს,  
და უბრუნდება სკოლას ავათმყოფს.

## III

ყოველივე დასკრია ისე,  
ვით სჩვევია აურ ზაურს,  
მოარშიყე არავინ სჩანს,  
არ უკრავენ არღან-დაურს.  
ჰა, თვე გადის, თვე წამების,  
მოწყანილი დადის სოფლათ,  
და იგონებს ნეტარ დროებს  
„იწუროდა ოდეს თფლათ“!  
ამბობს: „ნუ თუ სულ ყოველოვის  
მე ვეძებო!... — ოხ-რად, ოხ-რად!  
თუ, კი სხვასა, ბედნიერებს  
ახვევია თავზე ოხრად.  
მითხარ ღმერთო! გესმის ღმერთო!  
რად მქმენ აგრე უბედური?  
ან რა გადრე, რა შეგუოდე,  
რად გაგხადე უშედური?  
მაპატიე... ეს ვინ არი?  
გმაღლობ ღმერთო! შეისმინა!  
ახლა კი ვარ ბედნიერი.  
მაგრამ მაინც, — ვინ ხარ, ვინა?!!“  
2 კავალერი მე? — უფალმა თქვენს წინაშე  
მიბრძანა და მომავლინა,

და თუ მოგწონს ჩემი სახე,  
ჩემო გულის ბროლის მინა,  
ხელი მომე, წამომყევი!..  
— ვაიმე!!! — რამ შეგაშინა?  
— არა, ისე შეეკრთი მხოლოდ,  
არ გიცდია მსგავსი წუთი?  
უეკარი სიხარული ვით ყუშბარა ასი ფუთი.

## IV.

ნუბა პაჩუმ პაქმანი  
წმინდა ადგილს გადიტანეს,  
წიგნთ საცავი დააბევეს  
სხვა ადგილი არ იქმარეს.  
მკითხველები, რაც კი იყო,  
ყველა კარში გამოყარეს,  
(სიყვარული ისეთია,  
რომ სიმრავლეს არ იკარებს.)

სატანა.

## S. P.

ეშვაკო სხვისთვის,  
(და ძმაო ჩემო),  
ეს ერთი რამე,  
მსურს დაგაჩემო:  
იქნებ როგორმე,  
გააცნო ჩემო...  
ქალაქ თბილისი,  
და ააჩემო,...

კიდევ შაქეთ სჯობს  
ამა ხნობითა,

• • • •  
თორებშ ჩვენს სოფელს,  
საბრალო სოფელს,  
სოფელს უძაღლოს,  
დაწიხლულ სოფელს,  
გარევნილების მეტს,  
კარგს ვერას მოჰვენს,  
ჭირს ჭირზე დაგვცემს,  
ჭირშივე მყოფელს!

მაშ რას გავს აგი:  
არღანი, დოლი,  
უკან მოსდევდეს  
ნახევრათ ხონი!  
ერთი რომ იყოს,

ან კიდევ ორი,  
მაშინ ჯანდაბას  
ტრფობის მომგონი!!!

ვერ გამიგია  
საქმეა რაში,  
(ნამდვილ გვიდგია  
აგი ჯინაში).

სკოლის გაცენა  
ყოველ კვირაში  
და კავალები  
სკოლის ბინაში;  
სამკითხველოში  
სიცილ ხარხარი  
როგორც „ზაკაზი“ აუკავში  
მუდამ მზათ არი.

(მოგაგონდება  
მწვანე ბაზარი)  
ზრდილობის წვეთი  
კი არსად არი.

არც ფხიზელსა ჰვაეს,  
არც არის მთვრალი  
და ჩემის აზრით  
ასეთი ქალი,  
სატირალია  
და შესაბრალი.

ს—ნა.

## „სამშობლო განსაცდელშია“

ბ. ეშმაკო ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე,  
რადგანაც არ მინდოდა თქვენი შეწუხება ამ დღე-  
სასწაულებზე, მარა რა ვენა, იძულებული ვარ და-  
ვარლვიო თქვენი მყუდროება, ვინაიდან „სამშობ-  
ლო განსაცდელშია“. მაპატიეთ აი საქმე რაშია:  
2 აპრილს დ. ზუგდიდში მოხდა ყრილობა მაზრის  
მასწავლებლთა კავშირის განკოფილების დასაარსებ-  
ლათ. და ჩენც ბ. ეშმაკო, როგორც ზუგდიდელი  
„მამულიშვილები“. გეახლით კრებაზე სრულის შე-  
მადგენლობით და შეუდექით ჩენს საქმეებს. ბევრი  
ვიყვირეთ, ბევრიც ვილანძლეთ და ბოლოს ჯერი  
მიღდა გამგეობის არჩევანზე. დიახ! გამგეობა, ჩევ-  
ნებური, ლოთანი, მამულიშვილური და სამშობ-  
ლოსთვის „სუფრაზე“ და ყანწით ხელში “თავ-და-  
დებულად მებრძოლნი” აბა, ვისი გვეშინოდა? აკი

მოგახსენეთ, ბატონო ჩემო, სრული შემადგენლოუ-  
ბით გეახელით! ჭო, და სწორეთ აქ გახლდით მთე-  
ლი მაზრის ერთგულნი დარაჯნი: „სახალხოელნი“,  
„საქართველო“ „მეგობარ“ „ზეირთელება“, „ალში-  
ბაია - მდივან - კეიდია - უორდანიებითურთ“ მასთან  
იქნიეთ სახეში, რაც ფრიად საგულისხმოა, აქვე  
ბრძანდებოდა თითქმის ერთი თვალ-საჩინო ჩენი  
ბელადთაგანი ბ-ნი გ. ბურჭულაძე!! აი, ასე მშვე-  
ნიერად ვიყავით გამაგრებული, მარა, ნუ იტყვით  
ჩემო ბატონო, იმ წყეულმა ხალხმა, რომელთაც  
„დარსელები“ თუ „დემიკრათებიო“, რო ეძახიან,  
დასწეველოს ღმერთმა, სახელი არ მახსოვეს, განა  
თქვენ უკეთ არ იცით ბ. ეშმაკო, რაცა „თანას-  
წორიბაზე“ რო რაპალაკობენ, თქვენი ჭირიმე!...  
აი ეს, ბეჭედი ძალები მიუხედავთ ჩენი სიძლიე-  
რისა, მაინც წავიდა ჩენს საწინამდევოდ... ოხ,  
ღმერთო ჩემი რა მეტიჩრიბა და სისულელე ჩაი-  
დინეს!... მარა, ვაი მათ დღეს, იცი ბ. ეშმაკო,  
რა ვენით? რა და მიუხედავთ სუსტი და უმნიშვ-  
ნელო იერიშებისა, ჩენმა ლაშქარმა გაიმარჯვა:  
დიდი ძალადობისა და ულოლიკობის შემდეგ ჩენ  
ეს უბრალო მომავდავნი სასტიკად დავამარტეთ  
და გამოვედით დარბაზიდნ სრული გამრჯვებულ-  
ნი. წარმოიდგინეთ, არც ერთი მოკლული არც  
დაჭრილი და არც ტყვედ წაყანილი ჩენი ჯარი-  
დან არ ყოფილა. ხოლო მოწინააღმდეგეთაგან კი  
ბევრი დარჩი ბრძოლის დარბაზში ე. ი. გამგეობა-  
ში დაჭრილ-დახოცილნი. ასეთია მამულიშვილთა  
გამარჯვება. ან კი რას გააწყობდნენ საწყლები?...  
ჩენ ერთი კაციც არ დაგვლებია, ხოლო მაგათ  
კი ბევრი დაუხოცეთ, საქმეც თავზე მოვახეით,  
ხოლო ჩენი ლაშქარი კი საჩქაროთ დაუბრუნდა  
თავის წმინდა მოვალეობის ასრულებას: „კარტ-  
ნარდ-ყანწეს“!!.. ასეთია ჩენი მდგომარეობა დ.  
ზუგდიდში და უმორჩილესად გთხოვთ, ნააღდგო-  
მებს მაინც შენი კურთხეული მათრახის კუდი დაუ-  
რიგოთ ღირსებისა და მახედვით.

თქვენი ზუგდიდელი „ჭიჭირევა“.



## პროვინციაში.

დავუტოვე თფილისი, თანახმად შენი, დიდო ეშმაკი, ფიცხელი მოწერილობისა, გავარღვიე მეტა „სქელი“ ფრონტი თფილისის სადგურზე შეგროვილ მოსეირნე საზოგადოებისა, დიდი ვაი-ვაგლახით ავიღე ბილეთი და გავეშურე აყვავილებულ, ზურმუხტოვან მხარესაკენ, სადაც დღეს შეუპოვარი ბრძოლა, ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, არის გაჩაღებული...

ჯერ კიდევ ღამე იყო, როცა ლიხის მთა გადავლახე. შემცირდა. მალე დაფეშვი რიონის ჭალებისაკენ და სიამითაც ამოვისუნთქე.

შენგან გარკვეული მარტოუტი მიღებული არ ჰქონდა და საგონებელში ჩავარდი.

რა ვწნა? საით წავიდე! ვეწვიო „სამაისო“ ქუთაისს თუ შავი ზღვის ნაპირებისაკენ გავემართო? ბევრი ვიფიქრე, გამოვერკვიე მხოლოდ მაშინ, როცა, დღეს ყველასათვის ცნობილ სამტრედის სადგურზე გაეწნდი. ძალიან მინდოდა სამტრედის გმირის, ფედერალისტთა სასახლო ლიდერის ბესარიონ ფარცვანის ხილვა. ყოველი სურვილი ისე თქვენ აგსარულებიდეთ, როგორც ეს მე ამისრულდა, ბუფეტის კუთხეში ვზივარ, ვათვალიერებ მომსვლელთ და წამსვლელთ. უცებ ბრაზუნით გაიღო კბრები, შემოვარდა ვიღაც ამღრეულის თვალებით, თმა აბურგნული და პირდაპირ საგაზეთო შეკფისაკენ გასწია. იყიდა „აზრი“, საჩქაროთ გადაათვალიერა, თვალები გადააბრიალ-გადმოაბრიალა და მორთო ღრიალი: „თქვე.. ასეთებო, ისეთებო“. ამ ამბავშა მე მეტათ გამაკვირვა. იქვე მდგომ მოხუცს ვკითხე.

— ვინ არის ის კაცი, ან რა აჯავრებს მას? მოხუცმა წყნარათ მიპასუხა:

— ნუ აქცევთ მას ყურადღებას, ეს ბესარიონ ფარცვანია! ამ ბოლო დროს ეგრე სჩევევა; თუმცა ჯერ ქვის სროლა არ დაუწყია, მაგრამ...

მოხუცის სიტყვებმა ჩემზედაც იმოქმედა და სრულიად დამეკარგა ყოველივე სურვილი სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების ას მანეთიან საპატიო წევრის ახლო გაცნობისა.

სენაკში ვარ. სადგურიდან გამოვედი თუ არა, ვიღაცები მომგარდენ. მტაცეს ხელი და უცებ დელექანში ჩამსვეს. მინდოდა მეყვირა, მაგრამ პირში ბურთი აღმომაჩდა. დელექანი მიქრის: არ ვიცი სად

მივცევართ ან რა უნდათ ჩემგან. ვიფიქრე თუ მოტაცებენ და ჩემი გულისათვის ეშმაკისაგან სასყიდლის აღებას ლამობენ მეთქი. ამაოთ, მმებო რადგან კარგათ ვიცი, მე მისი ხასიათი. ერთად ერთი იმედი ისევ შენის მათრახის კუდისა მქონდა. უკვე დაუშვიდდი. ჩემს მდგომარეობას ჩავუკვირდი, მიმოვიხედე გარშემო და დავინახე, რომ ჩემსავე მდგომარეობაში კიდევ რამდენიმე სხვაც ყოფილა. ამან გამამხნევა. ძალა მომიმატა. მესმის რომ ჩემი მომტაცებლები რაც შეუძლიათ „ვა—რადას“ მღერიან. ბოლოს ჩვენც მოგვიბრუნდენ, ბურთი პირიდან გაუმოგვიდეს და ბილეთის აღება გვთხოვეს. ამ თხოვნამ სულ გმომაფხილა. ვკითხე:

— რის ბილეთი? რა ბილეთი? სად მიგყავაროვო?

— როგა, ბატონი, თქვენ „ზუგიდის“ პასაური არა ხართ? მე აუქსენი, რომ აზრათაც არ მომსვლია ზუგდიდი წასვლა. მტაცებლებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და ერთმა მათგანმა, სრულიად დამშვიდებულიათ მითხრა:

— აწი მაინც გვიანაა. ჩვენ „ზუგდიდში“ წასულები გვეგონეთ, მალე „ზუგდიდში“ ვიქნებით და იქიდან შეგიძლიათ საითაც მოგვეურვებათ გასწიოთ.

ეს პასუხი სულ არ მეპიტნეა, მაგრამ ვატყობდი, რომ ჩემს პროტეგს და აღელვებას შედეგი ჩემთვის უფრო „საზიანო“ ექნებოდა და ბედს დავმორჩილდი.

**ზუგდიდშიგეარ.** ჯერ ათიოდ ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ორი მოხუცი მომიახლოვდა, ორთავეს სტანისლავს ორდენი აქვს. ვაძირებდი გვერდის ავლას, მაგრამ... ორთავემ მოწიწებით თავი დამიქრა. მეც ორათ გავიღუნე. პირველმა დაიწყო.

— „კეთილი იყოს ბატონი თქვენი პრძანება სამეცნიეროს სატახტო ქალაქში“.

მე იქით-აქეთ გავხედე, გაქცევას ვაპირებ, ვატყობ გვიან არის.

— „სამეცნიეროს სატახტო ქალაქის ზუგდიდის მოქალაქეთა მონდობილობით მდაბლათ თავს გიკრაგთ“. ისინიც და მეც სამათ გავიღუნეთ. ცოტა ხანს ასე ვართ, შემდეგ განაგრძო:

— „იმედი გვაქვს ჩვენი ქალაქის ქერს ქვეშ“, მე ზევით აეიხედე, „არ მოგწიყიდებათ“, ვაკვირდები დეპუტაციის და გუნებაში ვფიქრობ.

— მართლაც, ძნელია ისეთ ქალაქში, რომელიც ასეთ დეპუტაციის აგზავნის, მოწყენა. ბოლოს

საიდგანდაც ორი ხატი ხელში გაუჩნდა და მოწინებით მომართვა. იძულებული ვიყავი გამომერთმა. მიქირავს ხელში, არ ვიცი რა ვუყო. დეპუტაციაც გაქრა. „ჩავარდი საგონებელში, ვითა კამეჩი მორჩეში“, რაშია საქმე? გამოვიკითხე და შემდეგი გავიგე. თურმე დეპუტაციას ჰერინგბია, რომ მე ზუგდიდის ეკლესის აგებასთან რაიმე დამოვიდებულება მქონდა. \*) ხატები პოლიციას შეუძენია და დეპუტაცია ვის აურჩევია ჯერაც არ გამიგა.

დაესეირნობ ბალში დაღონებული. მოდის ვიღაც, დაბალი, გადატყულარჭული კაცი. როცა გაუსწორდი, არ ვიცი შეიძლება შემაკონგანგებამ, ქუდი მომახდევია. შევიღობით ჩავარე. მერე მითხრეს, რომ თუ მისთვის ქუდი არ მოგეხადა, ახლა „ვირის აბანოში“ იქნებოდი. შეგურადე ეშმაკო, ღვთის სამაღლობლათ პარაკლისი მინგრელსკის ეკლესიაში გადახდევინე.


სალამია. ვიღაცმ მომეიდა ხელი და წამიყვანა. მივადექით დიდი თეთრ სახლს. გარედან აწერია ქართულათ: „ზუდ.“ ვიკითხე მითხრეს სასამართლო არისო. შევედით. მასწავლებელთა კრება ყოფილა. თავმჯდომარე იქროს ხანჯლით და ნამდვილ „კაზიონი“ რეველვერით ეკითხება ერთ მასწავლებელს:

— „თქვენ რაზე ილაპარაკეთ?, ჯერ მომიყევით რა უნდა თქვათ და მერე მოგცემთ სიტყვის ნებას. გადავხდე კრებას. დიდხალი ხალხია. ქალიკაცი ერთმანეთში ირევა. განსაკუთრებულ ყურადღებას ერთი ჯგუფი იქცევს, რომელიც თავმჯდომარის მარცხითა ზის. ამ ჯგუფში მხოლოდ ერთია ნაცნობი სახე. ეს, ეშმაკო, ჩვენი გიგო ბურჭულაძე მელიასვით ზის, თვალებს იქითაქეთ აცეცებს და არა კეთილად იღიმება. „დიდი კუდიანი ვინმეა, ეს ბურჭულაძე მითხრეს, „მხოლოდ მაგის იმედი აქვთ დღეს მამულის შეიღებსო“, მარა იმედი გაუცრუვდათ. თავმჯდომარემ, ლამანჩელის გმირმა, სიბრაზისაგან ცეკვა დაიწყო და შესანიშნავათ დაასურათა (მოქმედებით) როგორ ამტვრვენ ურემს ხარები, როცა აქეთი-იქით მიიწევიან. „რეზულტატი“ ის იყო, რომ სასამართლოს მაგიდა ცოტათი გაიბზარა და თავმჯდომარე კი გამგეობის წევრობაში ყორანსავით გაშავდა. ვერ უშევლა გიგო ბურ-

ჭულაძემაც და მას ხომ კარგათ იცნობ ეშმაკო. ზუგდიდში კიდევ ბევრი რამ მითხრეს, მაგრამ ამას შემდეგ შეგატყობიერ.

უმავთულო ტელეგრაფით ქუთაისიდან გამომიძახეს. თურმე ამავე ღროს იქ დრამატიულ საზოგადოების კრება ყოფილა. წამსევ იქ გაეჩნდი. დიდი ბრძოლაა. მთელი ქუთაისი აყრილა. კიტას თავი გამარჯვებული ჰერინია სახალხო უნივერსიტეტში მას თეძმა მოსტრებს და აქ ფიქრობს ზარალის ანაზღაურებას. აქაც ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ გავიგონე, მაგრამ ამას შემდეგში მოგახსენებ, ჩემობრძანებელო.

შენი ქოროლლი.



## სამეგრელო\*).

პატარა ფოთი. პროტესტს უცხადებთ ბურუნას და მისს სააგენტოს ყალბ და უშესებო ცილის წამებისათვის და სროლიად უდანაშაულოდ ჩვენი სოფლის ქალი და ვაჟის გალანტოვისათვის. დიდად ვწუხვართ, რომ ბ-ნი ბურუნა, როგორც ეტყობა ადვილათ ხედება მსხვერპლი ქუჩის ვაუზნიებისაგან მიწვდენილი ყალბ ცნობების. არც ერთი ცნობები, რომელსაც ბურუნას სააგენტო ეშმაკის მათრახის მე-18 № ში ათავსებს, სიმართლეს ოდნავადაც არ შეიცავს; მასწავლებელს სკოლიაში არ იყენებენო, სწერს ბურუნა, ან რა დასაყენებელია ისეთი ხსიათის კაცი, როგორც არის ჩვენი მასწავლებელი? და თუ ჯერ ჯერობით ჩვენს სოფელში არის, ეს ეს აისნება ჩვენის სულელობით და სენაკის სიმა-

\*) კაბადია მათი შეხედულობა დაფუძნებული ქართულ ანდაზაზე „უპატრონო ეკლესის ეშმაკები პატრონობენო“.

სწავლებლო საბჭოსი გულშაუწყობით, რომლებმაც თანახმად ჩვენი თხავინისა გადასწყვიტეს გადაეყვანა მაგრამ რაღაც მოსაზრებით ორი წელიწადი დაგვიანდა და საუბედუროდ დღესაც ჩვენთანაა. რაც შეეხება ფიზიკურ მაღალი ჩვენ მასწავლებლის წინააღმდეგ არ გვიხმარია. ქემიარიტება გვაიძულებს არ გაუჩუმდეთ იმ ფაკტზე, რომელიც მოხვდა, ჩვენი მასწავლებლი და ჩვენი სკოლის მზრუნველის არტეგმ ხოშტარიას შეა.

მართალია სკოლის მზრუნველი ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა მასწავლებლის, მაგრამ ამაშიც, რასაკიროველია, როგორც თვათონ გაუჭირდა მასწავლებლი თავის დანაშაულში სკოლის მზრუნველი მართალია. ყოველ შემთხვევაში აქ მთელი ჩვენი სოფელი რა შაუაშია?

2) „სლედელი ეკლესიაში არ იყენებენო“ მტკნარი სიცრუეა, პირიქით დიდად მოხარული ვართ, როდესაც გველირსება ჩვენი მცხოვანი მოძღვარა, მაგრამ საფალალოდ იშვიათად თუ ნახავთ ლვდელს

ჩვენი სოფელში რომელსაც ძალიან უნდა ასრულოს თავისი წმიდა მოვალეობა, მაგრამ ხელს უშლის სიბერე. 3, „ცოლქვარს ყრიანო“ ამისი მაგიერ ეს უნდა მოვასენოთ ბ-ნ ბუტუნას, რომ მსგავსი რომ ჩვენს სოფელში სრულიად არ მომხვდარა. რაც შეეხება ზეობრივ მხარეს, ამის ჩვენს ნაცრობებს ვანღობთ, დევ ჩვენმა ნაცრობებმა დასდონ მსჯავრი ბუტუნასი სააგენტოს საქციელს.

მასთან. მოვითხოვთ ბუტუნასაგან გამოქვეყნებულ იქნას ის პიროვნება, რომელმაც ისარგებლა შემთხვევით და თავისი ცილისწამებით დროებით მაინც გაგვაშვა მკითხველ სახოგადოების წინაშე

სოფელი პატარი ფოთის მცხოვრებ. გლეხების მინდობილობით ანდრო მესხი.

1916 წელი 5 აპრილი

\* წერილი უცვლელად იბეჭდება.

## იყიდება გასული წლების უურნალები:

- 1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ.  
34 ნომერი 3 მ. 50 კ.
- 2) „ეშ. მათრახი“ – 1909 წლ.  
34 ნომერი – 3 მ. 50 კ.
- ორივე წიგნი ერთად მშვენიერი  
ყდით ერიტება – 9 მან.
- 3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნო-  
მერი – 3 მ. 50 კ.

- 4) „ალმანახები“ 1909 წლის 10  
ნომერი – 50 კ.

პროგინციაში მსურველთ გაეგზავნება. ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: თიფლის, თიპოგრაფია  
შრомა, თეოფილ ბოლკვადვე.

უურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, „თეტრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „ქავკაზეკომსლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხდონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს. შემდეგი ადრესით: თიფლის, პირა. ქ. № 96, სილვესტრ P. თავართკილაძე.

კანტორის არები: ოლგინსკაია, № 6.

# აღსანიშვნი აზავანის შენჯველი!

## სუსტიციალური მაგლობა.

5 წლილი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „რაპიდი“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბქოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ოთასობით ავათმყოფი სრულად განიკურნა, რომელთაგანაც სამაღლობელი წერალები მაქსი. წამლობის ასეთი ნაკოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდი“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომზები საშუალება ამ სწერულებისა, მურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დამტკიცა, რომ „რაბიდ“-ის პრეპარატი წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მოხქენილიყოს ამისთან შემთხვევა არ არის, ამისათვის გადატრია ვაცხალებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავალმყოფობა ჩემი გამოყონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩევათ, და „რაპიდ“-ის შემწევიბით სრულიად მოხქენილია უნდა ჩითვალოს.

მართლივი, უკანასკნელ წლებში სუსტნატის (გონირე) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელიც ჩემის და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და იყაღდებოთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანი შეუძლიანობების თვალით შექხდონ ჩემს წმალსაც, — ამ შემთხვევაში მამს ყურადღებას იმ გარემოებაზე მიეცეს, რო ჩემი რწმენა „რაბიდ“-ის უებრობაში უა ჩემი დაბირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ „რაბიდ“-ის როს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელშერილი, რომ უკავთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანე დაუბრუნებ.

**ნიმუში ჩემის ხელშეტკილობა:** „მე, ამისა ქვემოთ ხელისა მომტქელი, ამ ხელშეტკილოს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ შეყვიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სწერულება სრულდება გაქტრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა შანეთი დაკაბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავაღმყოფებისაგან სამაღლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვათავსო ხოლმე ახალი მაღლობის წერილები. ამ წერილების დებანი (აუკრებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მათი ნახეა. წერილების სინამდევილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სახარევილოდ.

17. მ. ხ., ბანო დელამურე! დიდი გმადლობით თქვენი წამლის „რაციდ“-ისათვის, რომელმაც ერთხაშათ იქონია კარგი გაფლენა-ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავალყოფს განკურნებას ურჩიეს, ამაში თვითონ დატრწინდი, განმეორებით გიჩნით მაღლობას.

ନେହୀଙ୍କଣ୍ଡା 14 ମାର୍ଚ୍ଚି, 1914 ୯.

3. 6. 3. 6.

წალმობის სრულ კურსის, ორმაგ შეყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდაღებით ათი მანეთი. ფასდაღებით გაიგზავნება შეოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენერ 3 მანეთს.

Съ требованиеиа и заказами обращаться исключительно кавказское отдѣлениe Московской Лаборатории М. Деламури. Тифлисъ Эриванская плош. Пушинская 3 отd. э/м. верхний этажъ.

მისამართის გვერდი 1916 წლისთვის.

ერველ-პირეული იუმორისტული გამოცემა

# თ შ ა კ ი ს მ ა თ რ ბ ე ბ

უნინალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ექვემდებარებული და თავუნა,  
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

უნინალის ფასი 12 თვით 5 გ. ♦ 6 თვით 3 გ. ♦ 3 თვით 1 გ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.  
„ექვემდებარებული“ დაიბეჭდება მხატვრის დროის მინარესის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,  
არაკები, შერადები, გამოკანები, ნაკვესები და სხვა.

♦ უნინალში დაიბეჭდება საერთაშორისო თმის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ

\*)

C. P. Тавартилладзе.  
Олгинская 6,  
Почтов. ящ. № 96.

(ექვემდებარებულის მათრახისათვის)



\* ) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ  
♦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ♦